



Clean
Energy
Invest

აჭარისწყლის ჰიდროენერგო პროექტი

Clean Energy Invest

ჰიდროენერგეტიკის სფეროში მომუშავე ნორვეგიული კომპანია Clean Energy Invest (CEI) ავითარებს ჰიდროენერგეტიკულ პროექტებს იმ ქვეყნებში, რომლებსაც აქვთ მდგრადი ენერგეტიკული სექტორი და გამოუყენებელი ჰიდრორესურსების პოტენციალი.

ინფორმაცია კომპანიის შესახებ:

- კომპანიის დამფუძნებლებს ნორვეგიის ელექტრო მომარაგების სექტორში მმართველი თანამდებობები ეკავათ და საერთაშორისო დონეზე ჰიდროპროექტებზე მუშაობის მნიშვნელოვანი გამოცდილება აქვთ;
- კომპანიის წევრები ღრმად იცნობენ საქართველოსა და თურქეთის ელექტრო ენერგიის სექტორებს;
- CEI-ის ტექნიკური დირექტორი დიდი საერთაშორისო ჰიდროპროექტების განვითარებას ხელმძღვანელობდა;
- მდ. აჭარისწყლის პროექტი ხორციელდება Clean Energy Invest-ისა და IFC InfraVentures პროექტის ფარგლებში, რომელიც IFC-იმ, მსოფლიო ბანკის ჯგუფის წევრმა, პროექტების ადრეულ სტადიაზე განვითარების მიზნით დაიწყო.

Clean Energy Invest

აჭარისწყლის პროექტი

CEI-მა ტენდერის საფუძველზე მიიღო ლიცენზია აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მდინარე აჭარისწყლის ჰიდროპოტენციალის ათვისებაზე.

პროექტი მიზნად ისახავს მოამარაგოს საქართველოსა და თურქეთის ენერგო სისტემები განახლებადი ენერგიით.

პროექტი აგრეთვე საშუალებას მისცემს საქართველოს გამოიყენოს მისი ენერგეტიკული რესურსი ზამთარში ელექტროენერგიაზე მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად.

პროექტის დადგმული სიმძლავრე შეადგენს 175-300 მგ.ვტ. საბოლოო პროექტი დამყარებული იქნება ამჟამად მიმდინარე ტექნიკურ-ეკონომიკური მიზანშეწონილობის შესწავლის შედეგად გაცემულ რეკომენდაციებზე.

დაგეგმილია ორიდან ხუთამდე ჰიდროელექტრო სადგურის მშენელობა, რომლის საშუალო წლიური გამომუშავება 700-1200 გვტ.სთ-ს ფარგლებში იქნება. ჰესების მშენებლობის სავარაუდო ღირებულება 350-650 მლ აშშ დოლარს შეადგენს.


თუკი აჭარისწყლის პროექტი გეგმის თანახმად განვითარდება, იგი დღემდე საქართველოში განხორციელებული უმსხვილესი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია და ექსპორტიდან შემოსული ქვეყნის შემოსავლის ძირითადი წყარო იქნება.

აჭარისწყლის პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს რეგიონში ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას და მუნიციპალიტეტების საგადასახადო შემოსავლების ზრდას.



პროექტის განხორციელება:

პროექტით გათვალისწინებულია ორიდან ხუთ საფეხურიანი კასკადის მშენებლობა, რომელიც დაკავშირებული იქნება გადამცემი ხაზებით. პროექტი იყოფა ოთხ ძირითად ფაზად:



2011 წლის მეორე კვარტლისთვის დასრულდა პროექტის წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური შეფასების ფაზა - შეფასდა ბაზრის პირობები და ჩატარდა საწყისი ტექნიკური კვლევა.

წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევების ფაზაზე შესრულებული სამუშაოები:

- ქართული საინჟინრო საკონსულტაციო კომპანიის „გროს ენერჯი გრუფის“ მიერ მომზადდა წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა;
- ნორვეგიული საინჟინრო - საკონსულტაციო კომპანია „Norconsult“-ის მიერ მომზადდა ოპტიმიზაციის სქემა;
- გაიმართა მოლაპარაკება საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან პროექტის განხორციელები ხელშეკრულებასთან დაკავშირებით. 2011 წლის 12 აპრილს საქართველოს მთავრობამ მხარი დაუჭირა ხელშეკრულების ხელმოწერას;
- IFC InfraVentures შეუერთდა პროექტს, როგორც პარტნიორი;
- განხორციელდა ბაზრისა და ელექტრო გადაცემის სისტემის წინასწარი კვლევა;
- დიდი ბრიტანეთის საინჟინრო კომპანია “Mott MacDonald” (MM) შეირჩა მთავარ კონსულტანტად პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური შეფასების, დეტალური სატენდერო და საპროექტო სამუშაოების, დაგეგმილი პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების (ბსგშ) შესასრულებლად;
- პროექტის პარტნიორებად შეირჩა ქართული კომპანიები „გროს ენერჯი გრუფის“ (საპროექტო) და „გამა კონსალტინგი“ (ბსგშ).

ამჟამად პროექტი ტექნიკურ-ეკონომიკური შეფასების ფაზაზეა. სამუშაო დაიწყო 2011 წლის აპრილში და დასრულდება 13 თვის განმავლობაში.

ტექნიკურ ეკონომიკური შეფასების ფაზაზე დაგეგმილი სამუშაოები:


- ტექნიკურ-ეკონომიკური შეფასების უმთავრესი მიზანია განისაზღვროს რამდენად განხორციელებადია პროექტი ტექნიკური, ფინანსური, გარემოსდაცვითი და სოციალური თვალსაზრისით. დადებითი დასკვნის შემთხვევაში MM შეიმუშავებს დეტალურ პროექტს და სატენდერო დოკუმენტაციას;
- განიხილება პროექტის კომპონენტების განთავსების ადგილმდებარეობის რამდენიმე ვარიანტი (იხილეთ რუკა შემდეგ გვერდზე);
- მომზადდა საპროექტო ტერიტორიის შესწავლის სრული პროგრამა. 2011 წლის ივლისში აჭარისწყლის აუზში საინჟინრო გეოლოგიური პირობების შესწავლის მიზნით გაიგზავნება რამდენიმე საბურღი დანადგარი;
- პროექტის უშუალო ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მიწათმფლობელებს დაუკავშირდება ქართული კომპანია „ჯეოგრაფიკი“, რომელიც დაეხმარება მესაკუთრეებს მიწის ზუსტ აზომვასა და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში მის რეგისტრაციაში;
- მომავალ თვეებში პროექტის განხორციელების უზნებს ქართველი და უცხოელი ექსპერტები ეწვევიან;
- მშენებლობის ფაზა, სავარაუდოდ, დაიწყება 2012 წლის ბოლოს/2013 წლის დასაწყისში. კასკადის მშენებლობა დაახლოებით 6 წელი გაგრძელდება.

პროექტის ადგილმდებარეობა

პროექტი განხორციელდება მდ.აჭარისწყალსა და მის შენაკადებზე. დიდი ბრიტანეთის წამყვანი საინჟინრო კომპანია Mott MacDonald-ი შეისწავლის და განსაზღვრავს პროექტის კომპონენტების განთავსების ადგილებს და პროექტის სქემას.

პროექტის საბოლოო ვარიანტის შემუშავება, სავარაუდოდ, 2011 წლის შემოდგომაზე დასრულდება. სქემის პროექტში გათვალისწინებული იქნება სავსე კვლევების, ტოპოგრაფიული დაგეგმვის და ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების შედეგები.

ქვემოთ მოცემულ რუკაზე ნაჩვენებია პროექტის შესაძლო სქემები ტექნიკურ-ეკონომიკური შეფასების დაწყების დროის მდგომარეობით.



- Selected towns
- Alternative tunnel options
- Existing hydropower plant
- Existing tunnel
- River network

Source Map: Mott McDonald Llc

ზემოქმედება აჭარის რეგიონის მოსახლეობაზე და მათი ჩართულობა პროექტში

პროექტის განმახორციელებელი გუნდისთვის მნიშვნელოვანია, რომ პროექტმა რეგიონში მცხოვრებ მოსახლეობაზე დადებითი ზეგავლენა იქონიოს ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების კუთხით.

- პროექტი ითვალისწინებს მშენებლობის ფაზაზე ადგილობრივი მოსახლეობისთვის სამუშაო ადგილების შექმნას. ადგილობრივი მოსახლეობა ჩართული იქნება უშუალოდ მშენებლობაში, პროდუქტების მიწოდებაში, ადმინისტრაციულ საქმიანობებში, ტრანსპორტით უზრუნველყოფასა და ა.შ.;
- ექსპლუატაციის ფაზაზე შეიქმნება მუდმივი სამუშაო ადგილები ჰიდროელექტროსადგურების ოპერირებისა და ტექმომსახურებისთვის;
- ქონებაზე დაწესებული გადასახადის გადახდით პროექტი მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს აჭარისწყლის აუზში მდებარე მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში;
- პროექტი ითვალისწინებს მცირე ტევადობის წყალსაცავების შექმნას, რისთვისაც ძირითადად გამოყენებული იქნება ალტერნატიული მიზნით გამოყენების მცირე შესაძლებლობის მქონე არასასოფლო-სამეურნეო მიწები;
- პროექტის უშუალო ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მიწის მესაკუთრეებთან ურთიერთობის დარეგულირება მოხდება საქართველოს კანონმდებლობის და IFC-ის სტანდარტების შესაბამისად;
- “Mott MacDonald”-ი ახორციელებს ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასებას IFC-ის სტანდარტების გათვალისწინებით. კომპანია დეტალურად შეისწავლის პროექტის განვითარების შედეგებს ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე;
- 2012 წლის თებერვალში დაიწყება 3 თვიანი საჯარო კონსულტაციების პერიოდი, რომლის დროსაც ადგილობრივ მოსახლეობასა და ყველა დაინტერესებულ მხარეს, საშუალობა მიეცემა წვლილი შეიტანოს პროექტის განხორციელებაში.

საკონტაქტო ინფორმაცია:



ბიორნ ბრენდზაგი
პროექტის დირექტორი
+995 (5) 93354999
bjorn.brandtzaeg@cleanenergyinvest.no



ნინო დიასამიძე
პროექტის კოორდინატორი
+995 (5) 99715125
nino.diasamidze@cleanenergyinvest.no

www.adjaristsqali.com
www.cleanenergyinvest.no



